ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

№ 6 (4000) 10

1970 წ. ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲘᲬᲕᲘᲡ

ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ბილიკზე მოტორბოლა... სპორტის ამ სახეობამ საბჭოთა კავშირშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი და გულშემატკივართა დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

გასულ შაბათ-კვირას მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა წლევანდელი სეზონის პირველი შეჯიბრება — მოსკოველ და ლენინგრადელ სპიდვეისტთა მატჩი. შაბათს გუნდურ ტურნირში სტუმრებმა იმარჯვეს (42:36), კვირას კი პირადი პირველობა გათამაშდა. ყველას აჯობა ლენინგრადელმა ვ. სმირნოვმა.

საპასუხო შეჯიბრება მოეწყობა ნევისპირა ქალაქში. ეს ასპარეზობანი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის (მარტი, შვეცია) მზადების ერთი ეტაპია.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მოსკოველ და ლენინგრადელ სპიდვეისტთა შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ი. შალამოვისა.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲛᲔᲥᲘᲙᲝ, 7 იანვარი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ უკვე მზად არიან ასპარეზობის კენჭისყრისთვის, რომელიც 10 იანვარს გაიმართება. 150 ათასი პესო დაიხარჯა, რათა ამ ამაღელვებელი ცერემონიისთვის სათანადოდ მოემზადებინათ სასტუმრო „მარია ისაბელის“ დიდი საბალო დარბაზი.

დარბაზში უზარმაზარ დაფებზე დაიწერება ოთხ ჯგუფად დაყოფილი გუნდების დასახელებები. აქვე დგას 900 სკამი მაყურებლებისთვის. მათგან 200 განკუთვნილია პრესის წარმომადგენლებისთვის, რომელთა განკარგულებაშიც 120 სატელეფონო აპარატი იქნება. ასე რომ, პირველ შეჯიბრებას ჟურნალისტები გამართავენ: ვინ უფრო სწრაფად გადასცემს ინფორმაციას ყიულ რიმეს თასის კენჭისყრაზე.

ჯერჯერობით კი თვით თასი — ოქროს ქალღმერთი ლონდონიდან მეხიკოში მოგზაურობს. კოლუმბიის ჟურნალისტთა აზრით, ამჟამად იგი ბოგოტაში უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ აქ საკონტროლო მატჩების შესახებ მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა სამი ინგლისელი— ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ფედერაციის პრეზიდენტი და ერთი სხვა, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით არ იციან. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს მესამე ერთი ნაბიჯით არ სცილდება თავის თანამგზავრებს და ერთი წამით არ იშორებს პატარა ჩემოდანს.

მექსიკის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ადრე ამბობდნენ, ქალღმერთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო, მაგრამ ახლა ყოველი შემთხვევისთვის დაუზღვიეს თასი 20 ათას დოლარად (პრიზის ნამდვილი ღირებულება 7 ათასი დოლარია).

მსოფლიო ჩემპიონთა — ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ გამოაცხადა იმ 30 მოთამაშის გვარები, რომელთაგანაც ამირებს გუნდის შექმნას ჰოლანდიის ნაკრებთან შეხვედრისთვის. ეს მატჩი 14 იანვარს გაიმართება. 25 თებერვალს ინგლისელები ბელგიის გუნდთან ითამაშებენ, რამსეის დაგეგმილი აქვს ფიფა-ს გაუგზავნოს იმ 40 კანდიდატის სია, რომელთაგანაც ნაწილი მექსიკაში ითამაშებს. საბოლოო განაცხადი, რომელშიც 22 მოთამაშე შევა, შეტანილი იქნება უშუალოდ ჩემპიონატის წინ.

რამსეისგან განსხვავებით, პერუს გუნდის მწვრთნელმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ვ. პერეირამ, რომელიც მწვანე მინდვრებზე დიდის სახელით გამოდიოდა, ნაკრების კანდიდატებად სულ 26 მოთამაშე დასახელა. პერუელები მოსამზადებელ შეკრებას 14 იანვრიდან დაიწყებენ.

ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲛᲔᲥᲘᲙᲝ, 8 იანვარი. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული თითქმის 200 პოლიციის აგენტი შეიკრიბება 9 იანვრის დილით მექიკოს საერთაშორისო აეროპორტში, სადაც თვითმფრინავმა ძვირფასი ტვირთი უნდა ჩამოიტანოს. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასიდან მომავალ საჰაერო ლაინერს დაელოდება საგანგებო ჯავშნიანი მანქანა და მოტორიზებული პოლიციის რაზმი. როგორც ხაზგასმით აღნიშნავს იუპის საგენტოს კორესპონდენტი, საბაჟოს მოხელეებმა მიიღეს საგანგებო ბრძანება: კონტროლის პროცედურა თითქმის რამდენიმე წუთში უნდა დამთავრდეს, რათა ამ თვითმფრინავით ჩამოსული მგზავრები და ტვირთი რაც შეიძლება სწრაფად მოათავსონ მანქანაში.

ეს ყველაფერი მოხდება ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დედაქალაქში ოქროს ქალღმერთის— ყიულ რიმეს ლეგენდარული თასის ჩამოტანის დღეს. ამ პრიზმა ალბიონის ნაპირებიდან მექსიკამდე რთული გზა გაიარა, ხოლო ინგლისის საელჩოს წარმომადგენლებმა უარი თქვეს აეხსნათ, რა საჭირო იყო ასეთი შორი და ძნელი მოგზაურობა.

ქალღმერთს მეხიკოში აცილებენ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლები ე. სტეფენი და დ. ფელოუზი, რათა 10 იანვარს კენჭისყრის ცერემონიალზე წარსდგნენ. აეროდრომიდან თასი ნახევარ საათში მოხვდება ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ბანკში, სადაც მას კენჭისყრამდე სეიფში ჩაკეტავენ.

ესოდენ დიდი სიფრთხილე გასაგებია. ფეხბურთის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ ქალღმერთის დაკარგვა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ და ლონდონელი პატარა ძაღლის პიკლზის წვლილი ამ პრიზის პოვნაში.

მეხიკოს პოლიციელ დეტექტივთა შეფმა, პოლკოვნიკმა ედუარდო ესტრადა ოხედამ კატეგორიულად განაცხადა: „ყიულ რიმეს თასს ჩვენს ქალაქში არავითარი საფრთხე არ ემუქრება. არა მგონია, რომ ვინმემ მისი მოპარვა დააპიროს“.

მაგრამ, ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო...

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲘ. 1-ᲚᲘ ᲒᲕ.

ᲒᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲤᲣᲡᲤᲣᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲙᲐᲡ ᲯᲒᲐᲕᲡ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲛᲝᲯᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲙᲐᲚᲝᲜᲣᲠ ᲤᲘᲪᲐᲠᲜᲐᲒᲖᲔ ᲔᲠᲗᲒᲐᲨᲐᲓ 7 ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ! ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲓᲔᲝᲡ ᲡᲐᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲓᲐᲜ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲠᲓᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე (1171 მ ზღვის დონიდან) ორი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა სპრინტერულ მრავალჭიდში საკავშირო ჩემპიონატის გახსნა. მზიან, ყინვიან ამინდში ჩელიაბინსკელმა ტ. სიდოროვამ 500 მ 43,3 წამში გაირბინა, რაც 1,3 წამით სჯობს რ. შლიაიერმაჰერის (გდრ) ძველ მსოფლიო რეკორდს.

ეს დისტანცია ვ. მურატოვმა (მოსკოვის ოლქი) 39,1 წამში დაფარა — 0,1 წამით გაუმჯობესა ე. კელერის (გფრ) ძველი მსოფლიო რეკორდი. მაგრამ მურატოვის შედეგი ჩამოუვარდება საკავშირო რეკორდს (38,8), რომელიც ალმაათელმა ა. ლეპიოშკინმა დაამყარა 1969 წელს.

ძველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი კიდევ სამმა მოასპარეზემ გაუმჯობესა: სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ომსკელმა ვ. კრასნოვამ, ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა (ორივემ აჩვენა 43,99 წამი) და ივანოვოელმა ა. ბუიანოვამ (44,53).

ამ შეჯიბრებაში შედეგები წამის მეასედებამდე სიზუსტით აღინუსება (მაგალითად, სიდოროვასა და მურატოვის შედეგებია შესაბამისად 43,29 და 39,09), მაგრამ მსოფლიო რეკორდებს 500 მეტრზე ჯერჯერობით წამის მეათედებში უკეთებენ რეგისტრაციას.

15 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

◆ **ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.** გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი, მოსკოველი ლ. ტიტოვა კიდევ ერთი მაღალი წოდების—მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულის მფლობელი გახდა: 1000 მ მან დღეს 1 წუთსა და 29,53 წამში გაირბინა. ეს 0,47 წამით უკეთესია ჰოლანდიელი ე. ვან დერ ბრომის რეკორდზე, რომელიც მან შარშან დავოსის (შვეიცარია) მაღალმთიან საციგურაოზე დაამყარა.

ვაუთა შორის ციგურებით სწრაფრბენაში ამ დისტანციაზე ყველას აჯობა ვ. მურატოვმა — 1.20,66. ეს საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდია და ერთბაშად 2,14 წამით სჯობს ოლიმპიური ჩემპიონის ე. გრიშინის ძველ რეკორდს, რომლის ასაკი იყო... 15 წელი.

თოვლის დედაქალაქის ახალი კონტურები



ეროვნული ბიბლიოთეკა



ოსტატის ნორმატივი შეასრულეს

სოხუმის სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში სამ თვეს მიმდინარეობდა აფხაზეთის სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა და გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების, აფხაზეთის განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდები. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული იყო 16 სახეობა, ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ 12 უკეთესი შედეგი.

ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა „დინამომ“, რომელმაც 1119 ქულა დააგროვა. დინამოელები უძლიერესნი იყვნენ ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ტყვიის სროლაში, ფარიკაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ველოსპორტსა და ჭადრაკში.

II ადგილი ხვდა „განთიადს“— 904 ქულა. ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს კრივში, ძალოსნობაში და მაგიდის ჩოგბურთში.

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა 659 ქულა დააგროვეს და III ადგილი დაისაკუთრეს. ხოლო მძლეოსნობაში, ფეხბურთსა და კალათბურთში (ქალები) გამარჯვება მოიპოვეს.

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. პოპოვამ („დინამო“) მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 600 შესაძლებლიდან 560 ქულა დააგროვა, ოსტატობის კანდიდატმა ა. ლომთაძემ („სპარტაკი“) კი ამავე ვარჯიშში 593 ქულა დააგროვა. ესეც სპორტის ოსტატის ნორმატივია ვაუთათვის. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ბ. ზანოზდრამ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში 600 შესაძლებლიდან დაავროვა 587 ქულა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ქვემძიმე წონის ძალოსანმა, იუნიორებში სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა რ. ტარკილმა (მწვრთნელი ვ. რადიმაშვილი) საქართველოს რეკორდი დამყარა აკვრაში — 161 კგ აჩვენა.

სუსტად გამოვიდნენ „სპარტაკის“, „კოლმეურნისა“ და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის წარმომადგენლები. მძლეოსნობასა და ცურვაში დაბალი შედეგები გამოწვეულია იმით, რომ აფხაზეთში არ არის კეთილმოწყობილი სტადიონი და აუზი.

სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჩაჩავამ და სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა გ. ჩიჩუამ გამარჯვებულებს გარდამავალი თასი და სიგელები გადასცეს. შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები აკრობატიკასა და ტანვარჯიშში.

გ. იაშვილი,
გ. პოლოსიანი.

სოხუმი.

გულმოდგინედ

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის (გამგე ვ. მეჭურჭლიშვილი) მთელი კოლექტივი გულმოდგინედ ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის. სასწავლებლის საერთო გეგმის შესაბამისად, კათედრამ შეიმუშავა სპორტული, მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის კონკრეტული გეგმა. დასახული ღონისძიებების განსახორციელებლად ენერგიულად მუშაობენ კათედრის წევრები. მათი საშუალებით ინსტიტუტში და რაიონის სკოლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ფაკულტეტებისა და კურსების მიხედვით ჩატარდა საინსტიტუტო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ფეხბურთელები, ხელბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები, ტყვიის მსროლელები, მოჭადრაკეები, მოშაშეები, მძლეოსნები... სტუდენტი სპორტსმენები რაიონის სპარტაკიადაში 13 სახეობაში ასპარეზობდნენ.

დიდ ინტერესს იწვევს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ტურნირი ჭადრაკში.

კათედრის გეგმით გათვალისწინებულია ახლო მომავალში გაიმართოს მთელი რიგი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები. ჩატარდება ინსტიტუტის სპარტაკიადა ზამთრის სახეობებში, გაიმართება მასობრივი ლაშქრობა ცივის მთაზე და სხვ.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის წევრები მოსახლეობაში კითხულობენ ლექციამოხსენებებს ფიზკულტურასა და სპორტზე.

ი. მამულაშვილი.

რაიონული ცხოვრებიდან

✦ ზესტაფონი

დამთავრდა რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 12 სახეობა იყო. I ადგილზეა „კოლმეურნე“, II — „განთიადი“, III — „სპარტაკი“.

ა. განუგრავა.

✦ ზუგდიდი

ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმში სამ თვეს გასტანა შიდასაკოლექტიო სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაში იყო 6 სახეობა. კომპლექსურ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთ გამოვიდა მექანიზაციის ფაკულტეტის III კურსის ნაკრები. სპარტაკიადის ორმა მონაწილემ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 25-მა — III თანრიგისა.

* * *

ადგილობრივ სტადიონზე ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონის მოსწავლეთა მძლეოსნური კროსი, რომელშიც მონაწილეობდნენ საშუალო და რვაწლიანი სკოლების სპორტსმენები. საშუალო სკოლებს შორის გუნდური I ადგილი დაიკავეს ორსანტიელებმა, ხოლო რვაწლიან სკოლებში — ონარიის რუსული სკოლის კოლექტივმა.

ბ. ალფიბაია.

✦ გალი

მე-3 საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტიო სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო შეჯიბრებები ფეხბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში და შაშში.

გ. ჯეჯელია.

✦ სიღნაღი

აქ დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს გარდამავალი თასის გათამაშება ფრენბურთში. კარგად ითამაშეს ჯუგაანის სასოფლო-სამეურნეო არტელის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ფინალში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ქვემო მაჩხაანის გუნდი და თასიც დაისაკუთრეს. ჯუგაანელმა ფრენბურთელებმა ასევე გაიმარჯვეს კომკავშირის რაიკომის თასის გათამაშებაში.

გ. მოსულიშვილი,
„კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე.

რაიმეურნეობა ცხოვრობენ

საქართველოს თოვლის დედაქალაქ ბაკურიანი ამ დღეებში აფუსფუსებულ სკას უფრო ჰგავს. დათოვლილ ბორცვებს, სათხილამურო ტრასებს, კოხტაგორის ფერდობებს დილიდანვე სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულნი მოეფინებიან ხოლმე. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ნაკადი მოსწავლეებისა, რომლებიც აქ ზამთრის არდადეგებს ატარებენ, მაგრამ ახალი და ახალი სტუმრები ყოველდღე ჩამოდიან. აქ ბევრი საინტერესო შეჯიბრებაა დაგეგმილი. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსრ კავშირის თასის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში (18 იანვარი). ახპარეზობა ბაკურიანის ახალ ტრამპლინზე ჩატარდება, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია სსრ კავშირში. უფრო გვიან დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში, მოსკოვ — ლენინგრად — საქართველოს სამთომოთხილამურეთა სამატჩო შეხვედრა, ჩვენი რესპუბლიკის ზამთრის III სპარტაკიადა.

მაგრამ ამ დღეებში ბაკურიანი მარტო მოთხილამურეებს როდი იზიდავს. აქ შეკრებაზე არიან განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის მოსწავლეები, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრები, რომლებიც თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები და სხვ.

ამ ზამთარს ბაკურიანში ბევრი სახიხარულო სიახლე გველის. მთავარია დიდი ტრამპლინისა და პანსიონატ „სპორტის“ გახსნა. ტრამპლინის სიმაღლავრე 90 მეტრია, მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ სარბიელზე შეიძლება შესრულდეს ნახტომები 100-110 მეტრზეც. აღსანიშნავია, რომ იქვე განლაგებულია 3 სხვადასხვა სიმძლავრის ტრამპლინიც. ეს ბაკურიანელ ბიჭუნებს საშუალებას მისცემს დაუბრკოლებლად ივარჯიშონ, სწრაფად დაეუფლონ უმაღლეს ოსტატობას. ვიმედოვნებთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნიჭიერ „მფრინავ მოთხილამურეთა“ მთელი თაობა გვეყოლება.

ტრამპლინთან ახლოს პირველი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პანსიონატმა „სპორტმა“. ეს სამსართულიანი შენობა სასტუმროს ტიპისაა. აქაა კეთილმოწყობილი ოთახები 3-5 კაცისთვის, კარგი სამზარეულო, ვრცელი სასადილო, კინოდარბაზი, საექიმო კაბინეტი, საშხაპეები, გამჭირვებელი პუნქტი. ერთი სიტყვით, სპორტსმენებისთვის ჩინებული პირობებია შექმნილი.

ბ. ქვათაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

სურათებზე: ახალი პანსიონატი „სპორტი“; მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის მოსწავლეები საწვრთნელ მეცადინეობაზე; საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ნ. ხოხაშვილი (მარჯვნივ) და ა. ილურიძე თხილამურებით გასეირნებას აპირებენ; მცხუნვარე მზეს კოხტაგორის ფერდობი ნამდვილ პლაჟად უქცევია; ბაკურიანის ახალი დიდი ტრამპლინი.

ფოტო ავტორისა.



მარტყოფლიშვილი, მაღალთაძე, გოგოლაური...

მოსკოვი, 9 იანვარი. ცსკა-ს დარბაზში დამთავრდა ძიუდოისტთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები, რომლებიც გულმოდგინედ ემზადებიან ახალი სეზონის საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლების შემდეგ გაიმარჯვეს: მსუბუქ წონაში — ევროპის ექს-ჩემპიონმა, თბილისელმა ფ. მარტყოფლიშვილმა, ქვესაშუალო წონაში—ევროპის ექს-ჩემპიონმა, გორელმა რ. მაღალთაძემ, საშუალო წონაში — თბილისელმა გ. გოგოლაურმა, ქვემძიმე წონაში — მოსკოველმა ე. სოლოდუხინმა, ხოლო მძიმეში — კიეველმა ხ. ნოვიკოვმა.

• • •

ხურათზე: ა. კოლპაკოვისა და ვ. ბორჩაშვილის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ი. შალამოვისა.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

ეთგან, ბიჭებო!

10 პრიზიორი საქართველოდან

მახაჩყალა, 9 იანვარი. გუშინ აქ დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ხალიჩაზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 120 ნორჩი ათლეტი.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ საქართველოს წარმომადგენლები (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ილურიძე), რომლებმაც 10 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: კონიაშვილი, მაღალაშვილი, ქელეხსაშვილი, ელოშვილი, ილურიძე, ციციშვილი. II ადგილები დაისაკუთრეს მირმანიშვილმა და ჭუაძემ, ხოლო III — გობროშვილმა და უვარელაშვილმა.

ჩემპიონთა პირველი წაგება

როგორც ვიუწყებოდით, „ა" კლასის ფრენბურთელმა ვაჟებმა რიგასა და კიევში დაიწყეს საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური.

რიგაში ასპარეზობენ ადგილობრივი „რადიოტექნიკი", ალმა-ათის „ბურევესტნიკი", ვოროშილოვგრადის „ზვეზდა", ტალინის „კალევი" და მოსკოვისა და როსტოვის არმიელები. ამ ქალაქში პირველ დღეს გამართული ორი მატჩის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. დავუმატებთ, რომ მოსკოველმა არმიელებმა სძლიეს თავიანთ როსტოველ თანაკლუბელებს — 3:0. მეორე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზვეზდა" — „რადიოტექნიკი" 1:3, „ბურევესტნიკი" — ცსკა 1:3, (ეს სსრ კავშირის ჩემპიონების — ალმაათელი სტუდენტების პირველი წაგებაა ჩემპიონატში). მესამე დღე: ცსკა — „ზვეზდა" 3:0, ასკ — „რადიოტექნიკი" 3:0, „ბურევესტნიკი" — „კალევი" 3:0.

კიევში თამაშობენ ადგილობრივი „ლოკომოტივი", ოდესისა და ხარკოვის „ბურევესტნიკი", ლენინგრადის „ავტომობილისტი", ირკუტსკის „დინამო" და აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის (ბაქო) გუნდი. გაგაცნობთ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს. პირველი დღე: „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „ლოკომოტივი" 2:3, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი — „ავტომობილისტი" 3:1, „დინამო" — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 3:2. მეორე დღე: „ავტომობილისტი" — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 1:3, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 2:3, „ლოკომოტივი" — „დინამო" 3:1. მესამე დღე: „ბურევესტნიკი" (ოდესა) — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 0:3, „დინამო" — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი 3:2, „ლოკომოტივი" — „ავტომობილისტი" 3:2.



სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

● ...დანარჩენი ჭექნიკის საქმე იყო
● კარგი დღე არავის ადგა
● ღრმა ნოკაუტში
● კვლავ მარცხი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" კიდევ ერთი ძნელი მეტოქე ჩამოიცილა (ლენინგრადის „სპარტაკი") და დაამთავრა ჩემპიონატის პირველი წრე. შეხვედრის საბოლოო შედეგით (72:67) უკრაინელი კალათბურთელები უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, მაგრამ ერთ პერიოდში მასპინძლების გამარჯვება ეჭვის ქვეშ იდგა. უფრო მეტიც, მთელ პირველ ტაიმში (იგი ლენინგრადელებმა მოიგეს — 35:34) და მეორე ტაიმის დასაწყისში სპარტაკელთა უპირატესობა საგრძნობი იყო. ვინ იცის, საით გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი, 5 პერსონალური შეცდომის გამო მოედანი რომ არ დატოვებინათ სტუმრების ცენტრალურ თავდამსხმელებს ა. ბელოვსა და ივანოვს.

ეს იყო საბედისწერო მომენტი ნევისპირელთათვის. ორი მაღალი ტანის კალათბურთელის გასვლამ ერთბაშად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მასპინძლების სასარგებლოდ. დანარჩენი, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ტექნიკის საქმე იყო. „სტროიტელმა" გამოიყენა უპირატესობა და პირველ წრეში ბოლო ქულა აიღო.

სვერდლოვსკი. ჩემპიონატის პირველი წრე დაამთავრა ადგილობრივმა „ურალმაშმაც". მოსკოვის „დინამოსთან" გუშინწინდელ შეხვედრაში იგი თითქოს ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც დამარცხდა, თუმცა კარგი დღე არც მეტოქეს აყარა. ანგარიში 97:94 (55:49) სტუმრების სასარგებლოდ ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს თავდამსხმელთა კარგ თამაშს და მცველთა უნიათობას.

„ურალმაში" გამოკვეთილი აუტსაიდერი და დაბალ ლიგაში გადასაღლის ერთ-ერთი ყველაზე ნაღდი კანდიდატია, თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება ჯერ ადრეა. ურალელ კალათბურთელებს ორ დარჩენილ წრეში თავისუფლად შეუძლიათ მდგომარეობის გამოსწორება. ერთადერთი ქულა სვერდლოვსკის გუნდმა ალმა-ათის „ლოკომოტივს" აართვა.

რიგა. ვერ იქნა და გონს ვერ მოვიდა ადგილობრივი ასკ, ერთ დროს ჩვენი ქვეყნისა და ევროპის უძლიერესი გუნდი. არმიელები ღრმა ნოკაუტში არიან და ვერაფრით ვეღარ ახერხებენ მდგომარეობის ოდნავ გამოსწორებასაც კი. ის ორადორი ქულა, რიგელებმა წლევანდელ დებიუტანტთან („ურალმაში") და შარშანდელ აუტსაიდერთან („ლოკომოტივი") რომ აიღეს, საკმარისი გამოდგა მხოლოდ XI ადგილზე გასვლისთვის. არმიელებს პირველ წრეში ალმაათელებმაც გაუსწრეს.

გუშინწინ ასკ-მ ტარტუს „კალევს" უმასპინძლა. არმიელებმა არაფერში დაუდეს ტოლი მეტოქეს და მხოლოდ 4 ქულით დამარცხდნენ — 79:83 (40:47), მაგრამ ეს სულ ერთია: ქულები მხოლოდ გამარჯვებისთვის იწერება და არა თავგანწირული თამაშისთვის. ერთი სიტყვით, ადვილი შესაძლებელია, საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრი — რიგა გაისად უმაღლესი ლიგის გარეშე დარჩეს.

ალმა-ათა. ბოლო ორმა გამარჯვებამ თბილისის „დინამოს" ქომაგებს ხასიათი გამოუსწორა. თითქოს მოთამაშეებმაც ირწმუნეს საკუთარი ძალა. ეს კი ყველაზე მეტად სჭირდება გუნდს, რომელსაც სულ მალე ევროპული მასშტაბით ასპარეზობა მოუწევს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ორი რიგითი გამარჯვება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის წარმატება ყოფილა. თბილისელებმა კიდევ ერთი ქულა დაკარგეს, ამჯერად „ლოკომოტივთან" ორთაბრძოლაში — 68:73 (44.36).

გადახედეთ ვიცე-ჩემპიონის სატურნირო მაჩვენებლებს. თბილისელებს ყველაზე მორიდებული თავდასხმა და საკმაოდ არამყარი დაცვა ჰყავთ. გუნდი პასიური ბალანსით ამთავრებს ჩემპიონატის პირველ წრეს, რაც დინამოელთა პრაქტიკაში იშვიათია. თბილისელები ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 69 ქულას იღებენ. ესეც დაუშვებელია მაღალი რანგის გუნდისთვის. „დინამოს" ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი — „ბურევესტნიკთან" და „კალევთან", შემდეგ კი იგი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებისთვის უნდა მოემზადოს.

ცხრილი კომენტარებით

მდგომარეობა 9 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი" (კიევი)	11	9	2	925—794	9
ცსკა	10	9	1	832—707	9
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	11	7	4	852—787	7
„დინამო" (მოსკოვი)	10	6	4	860—810	6
„კალევი" (ტარტუ)	10	6	4	780—792	6
„შალგირისი" (კაუნასი)	9	6	3	707—682	6
ასკ (კიევი)	10	5	5	750—708	5
„დინამო" (თბილისი)	9	4	5	627—684	4
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	10	3	7	736—834	3
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	10	3	7	756—840	3
ასკ (რიგა)	11	2	9	802—882	2
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	11	1	10	830—937	1

ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრებამდე 5 მატჩიღა დარჩა.

შეჯიბრება განახლდება 26 იანვარს კიევსა და კაუნასში. უკრაინის დედაქალაქში იასპარეზებენ ცსკა, „კალევი", „ბურევესტნიკი", „სტროიტელი", კიევისა და რიგის არმიელები, კაუნასში კი თავს მოიყრიან „შალგირისი", „სპარტაკი", თბილისისა და მოსკოვის „დინამო", „ურალმაში" და „ლოკომოტივი". ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ნახევარი დამთავრდება 1 თებერვალს. დასკვნითი ასპარეზობა 12 გუნდისთვის ჩატარდება თბილისში 1-8 მარტს.

როგორც ხედავთ, თებერვალი საკავშირო ჩემპიონატში არდადეგებს დაეთმობა, მაგრამ ორი გუნდი — ცსკა და თბილისის „დინამო" ამ პერიოდს ევროპულ ტურნირებში ასპარეზობას მოანდომებენ: ცსკა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას იანვარშივე შეუდგება, თბილისის „დინამო" კი თასების მფლობელთა თასისთვის თებერვლის შუა რიცხვებიდან ითამაშებს.

სნაიპერები...

პირველი წრის მიწურულში გუნდების სნაიპერთა სამეულები ასე გამოიყურება:

ცსკა — 10 მატჩი. 1. ანდრეევი — 203 ქულა, 2. ს. ბელოვი—131, 3. კაპრანოვი — 102.

„სტროიტელი" (კიევი) — 10. 1. პოლივოდა — 207, 2. ვალტინი — 179, 3. ფილოზოფი — 111.

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — 10. 1. ა. ბელოვი — 161, 2. ბიკოვი — 152, 3. ფიოდოროვი—94.

„შალგირისი" (კაუნასი) — 9. 1. პაულაუსკასი — 179, 2. ბუდნიკასი — 117, 3. სარპალიუსი — 88.

ასკ (კიევი) — 9. 1. სალუხინი — 113, 2. პოგულაიი — 101, 3. ნოვიკოვი — 98.

„კალევი" (ტარტუ) — 9. 1. ტომსონი — 147, 2. ტამისტე — 132, 3. კრიკუნი — 90.

„დინამო" (მოსკოვი) — 9. 1. პეტროვი — 132, 2. ბოლოშევი— 128, 3. სოკოლოვი — 92.

„დინამო" (თბილისი) — 8. 1. უგრეხელიძე — 98, 2. მოსეშვილი — 81, 3. ხაკანდელიძე — 72.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — 10. 1. ბიჭიაშვილი — 135, 2. ბულავსკი — 134, 3. მანგაძე — 98.

ასკ (რიგა) — 9. 1. ფრეიმანისი — 106, 2. ბალოდისი — 87, 3. გ. მუიუნიეკსი — 75.

„ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — 9. 1. პოზდნიაკოვი — 158, 2. ვეისმანი — 132, 3. ნიკიშინი — 108.

„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — 10. 1. კანდელი — 228, 2. ბოლვაჩოვი — 157, 3. კოვალიოვი — 78.

ახლა კი გთავაზობთ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა ათეულს:

კანდელი („ურალმაში") — 228
პოლივოდა („სტროიტელი") — 207
ანდრეევი (ცსკა) — 203
პაულაუსკასი („შალგირისი") — 179
ვალტინი („სტროიტელი") — 179
ა. ბელოვი („სპარტაკი") — 161
პოზდნიაკოვი („ლოკომოტივი") — 158.
ბოლვაჩოვი („ურალმაში") — 157
ტომსონი („კალევი") — 147
ბიჭიაშვილი („ბურევესტნიკი") — 135

სსრ კავშირის ნაკრების წევრები...

როგორ თამაშობენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები საკავშირო ჩემპიონატში? ამ შეკითხვაზე პასუხს გაგვცემს ცხრილი, რომლის პირველი გრაფა აღნიშნავს თუ რამდენ წუთს დაჰყო ამა თუ იმ მოთამაშემ მოედანზე, მეორე — რამდენი მატჩი ითამაშა, მესამე — რამდენჯერ დაჯარიმდა და მეოთხე — რამდენი ქულა დააგროვა.

	დრო	მატჩი	ჯარიმა	ქულა
პოლივოდა („სტროიტელი")	307	10	38	207
ანდრეევი (ცსკა)	321	10	20	203
პაულაუსკასი („შალგირისი")	262	9	25	179
ა. ბელოვი („სპარტაკი")	265	10	44	161
ტომსონი („კალევი")	290	9	29	147
ს. ბელოვი (ცსკა)	319	10	15	131
ბოლოშევი („დინამო". მოსკ.)	259	9	39	128
საკანდელიძე („დინამო". თბ.)	225	8	20	72
ვოლნოვი (ცსკა)	181	9	29	68
კოვალენკო („სტროიტელი")	98	3	10	54
ზასტუხოვი („დინამო". მოსკ.)	47	2	9	26
კულკოვი (ცსკა)	46	5	14	2

მაყურებლები...

თბილისის სპორტის სახახლე დიდი კალათბურთის დღეებში კვლავ ბევრ მაყურებელს იზიდავს, თუმცა შარშანდელთან შედარებით გულშემატკივართა ინტერესი ერთგვარად განელდა.

საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მაყურებელთა სიმრავლით მეორე ადგილზეა კაუნასი, მესამეზე — ტარტუ. დანარჩენ ქალაქებში კალათბურთს არც ისე დიდი აუდიტორია ჰყავს. გთავაზობთ ცხრილს, რომელიც ასახავს მაყურებლების დაინტერესებას ამა თუ იმ ქალაქში. პირველ გრაფაში მოცემულია ჩატარებულ შეხვედრათა, მეორეში კი მაყურებელთა რაოდენობა.

„დინამო" (თბილისი)	3	22.000
„ბურევესტნიკი" (თბ.)	5	18.400
„შალგირისი" (კაუნ.)	5	22.500
„კალევი" (ტარტუ)	6	16.300
ცსკა (მოსკოვი)	5	3.600
„დინამო" (მოსკოვი)	5	3.600
„სპარტაკი" (ლენინგრ.)	5	7.100
„სტროიტელი" (კიევი)	4	4.200
ასკ (კიევი)	4	1.900
ასკ (რიგა)	5	4.250
„ურალმაში" (სვერდ.)	5	2.100
„ლოკომოტივი" (ალ.)	4	1.800

ნაკვეთი ლიტერატურიდან

სოხუმი

მაგიდის ჩოგბურთში აფხაზეთის გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ „სპარტაკის", „განთიადის", სუბტროპიკული მეურნეობისა და პედაგოგიური ინსტიტუტების, აფხაზეთის განათლების სამინისტროს კოლექტივები. პირველობა მოიპოვეს განთიადელებმა. II ადგილზეა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნაკრები, III — განათლების სამინისტროს გუნდი.

პ. გრიგორიანი.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

რევანში და მერე როგორი!

სსრ კავშირის მორბენალმა მოთხილამურეებმა წლეულს საერთაშორისო სარბიელზე იუგოსლავიაში აიღეს სტარტი. ბოჰინში სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც ცდიდნენ ძალას. ფაქტიურად, ეს იყო ძალთა პირველი ფართო შემოწმება მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ვინაიდან მანამდე ამ ასპარეზობაში მონაწილე ქვეყნების მოთხილამურეები მხოლოდ ეროვნული შეჯიბრებებით კმაყოფილდებოდნენ.

ტურნირი 15 კმ-ზე რბენით დაიწყო. სსრ კავშირის მოთხილამურეები ვ. დოლგანოვი (ომსკი), ა. ნასედკინი, ვ. ვორონკოვი, ვ. ტარაკანოვი, ა. აკენტიევი (ყველა — მოსკოვი) ერთმანეთს ლიდერობდნენ და თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. მაგრამ ინსბრუკის ოლიმპიადის მონაწილე ვ. დემელი (გფრ) ერთი წამითაც არ ფიქრობდა ჩამორჩენას. მე-11 კილომეტრიდან იგი დაწინაურდა კიდეც და გამარჯვებაც მოიპოვა — 48.58,0. აკენტიევი მას 8,2 წამით ჩამორჩა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტარაკანოვი — 49.33,2, ვორონკოვი — 49.45,9, ნასედკინი — 49.53,0 და დოლგანოვი — 50.34,8.

ქალები 10 კმ-ზე რბენაში ასპარეზობდნენ. სსრ კავშირის სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ გამოდიოდნენ, რამაც გამარჯვება გაუადვილა მ. ენდლერს (გფრ) — 39.17,6.

მეორე დღეს გაიმართა ესტაფეტა 3×10 კმ-ზე. საბჭოთა მოთხილამურეებმა აქ აიღეს წინადღით ნაწვნევი მარცხის რევანში. ყველას აჯობა სსრ კავშირის I ნაკრებმა (ტარაკანოვი, ვორონკოვი და აკენტიევი). II ადგილზე გავიდა მეორე ნაკრები (ნასედკინი, ფ. სიმაშოვი, დოლგანოვი). როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ჩეხოსლოვაკიის ტატრებში, სადაც მსოფლიო პირველობა ჩატარდება, საბჭოთა გუნდს ესტაფეტაში ბადალი არ უნდა ჰყავდეს.

● ●

თავიანთი გეგმები აქვთ

ფინელები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას ჯერჯერობით შინ ამჯობინებენ. მართალია, ისინი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში უკვე გამოვიდნენ, მაგრამ ყველა ეს შეჯიბრება მათ ქვეყანაში ტარდებოდა. შეჯიბრებებში ფინელები თითქმის ყოველდღე მონაწილეობენ. ერთ-ერთი ტურნირის შემდეგ დაქანცულმა კ. ლაურილამ განაცხადა: ასე ინტენსიურად არასოდეს გვიასპარეზია. არ ვიცი, ასეთი დატვირთვა რას მოგვიტანს, ვშიშობ, მსოფლიო პირველობამდე არ გადავიღალოთო.

მაგრამ გუნდის სელმძღვანელობას თავისი გეგმები აქვს. ამ გეგმების მიხედვით ჰელსინკში, იოროინუხში, ჰარუსკანკში, ლაკტიში და სხვაგან ხშირად იმართება შეჯიბრებები.

ამას წინათ ნაკრების საგაზურის მაძიებელთა ერთი ნაწილი იოროინენში ასპარეზობდა, ნაწილი — სუონეიოკში, სხვები — ჰარუსკანკში. ვაჟებს სამივეგან 15-15 კმ-ზე უნდა ერბინათ, ქალებს — 5-5 კმ-ზე. ჰარუსკანკში მოასპარეზეებმა გაცილებით მაღალი შედეგები მოიპოვეს, რასაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით ხსნიან, აქ უძლიერესმა ლაურილამ 15 კმ 44.23,0-ში გაირბინა, II ადგილზე გასულმა კ. იოკარაინენმა კი 44.30,0 აჩვენა და ზუსტად 1 წამით მოუგო რ. ლაპტონენს (III ადგილი).

ვ. პუტონენს იოროინენში გამარჯვებისთვის 49.14,0 დასჭირდა. აქ II ადგილზეა პ. სიიტონენი — 49.15,0, III — ს. სიკანენი — 49.22,0. ცნობილი მორბენლები — ძმები რ. და კ. პიამიალაინენები ხუთეულში ვერ მოხვდნენ.

სუონეიოკში გაიმარჯვა ი. რეპომ — 51.01,0.

აქვე ჩატარდა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. ყველას აჯობა ქვეყნის ჩემპიონმა ტ. მატილამ, რომელმაც 224,1 ქულა დააგროვა.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ მეორე ჯგუფი როვანიემიში გამოდიოდა. I ადგილი დაიკავა ი. მანინენმა (84 და 85,5 მ — 218,6 ქულა).

ჰარუსკანკში უკეთესი შედეგები მოიპოვეს ქალებმაც. გრენობლის ოლიმპიადის მონაწილემ მ. კაიოსმამ, რომელიც წლეულს კარგ ფორმაშია, 5 კმ-ის დაფარვას 17.55,0 მოანდომა და პ. ტაკალოს 8 წამი მოუგო. იოროინენში უძლიერესმა რ. ნიუუსიონენმა 19.08,0 აჩვენა.

ფინელ მოთხილამურეთა მთავარმა მწვრთნელმა ა. ტაინენმა ჟურნალისტებს განუცხადა: სუომის სპორტსმენები ჯერჯერობით მზად არ არიან დიდი შეჯიბრებებისთვის, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატამდე და სტუდენტთა ზამთრის უნივერსიადამდე საკმაო დრო დარჩა და ყველა ნაკლს გამოვასწორებთო.

● ●

ერთად

ნორვეგიისა და შვეიცის მოთხილამურეებმა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების სულ სხვა გეგმა ირჩიეს. ისინი ერთობლივ წვრთნას და, რაც მთავარია, ერთად ასპარეზობას ამჯობინებენ. ერთმანეთთან შეჯიბრებების გარდა, ამ ქვეყნების სპორტსმენები საერთაშორისო ტურნირებშიც ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიან, მწვრთნელებიც საერთო ძალით მუშაობენ, მაგრამ საიდუმლოს გამომჟღავნებას მანამ არ აპირებენ, სანამ მსოფლიო პირველობის დაწყებამდე სამიოდე კვირა არ დარჩება.

ასეა თუ ისე, ამ ქვეყნის მოთხილამურეებმა ამას წინათ ჰულანში (შვეცია) ერთობლივი ტურნირი გამართეს 15 კმ-ზე რბოლაში. ბრძოლა უშელავათო იყო და სათხილამურო სპორტისთვის იშვიათი შედეგითაც დამთავრდა: ნორვეგიელმა პ. ტილდუმმა და შვედმა გ. ლარსონმა ზუსტად ერთნაირი დრო — 50 წუთი აჩვენეს.

ბიორკიოლანგენში (ნორვეგია) მეგობრები 3×7,5 კმ-ზე ესტაფეტაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. პირველობა ნორვეგიელთა ტრიოს (ი. ეგენი, ო. მარტინსენი, ი. ჰარვიკენი) ხვდა წილად — 1:06.10. შვედები (ი. სანდსტრიომი, ა. რიონლუნდი, ლ.-ე. ოსლუნდი) II ადგილს დასჯერდნენ — 1:06.35. III ადგილი დაიკავა ნორვეგიელთა მეოთხე ნაკრებმა (ა. სტურელვი, მ. მურმიუ, ვ. სტენიდე) — 1:06.42.

ქალთა ესტაფეტაც (3×5 კმ-ზე) ნორვეგიელებმა მოიგეს — 40.20,0.

● ●

კამინდის ჭირვეულობის მიუხედავად

სსრ კავშირის უძლიერეს ბიატლონისტებს ცესარი მასპინძლობს. ბალტიისპირეთის ცვალუბადმა ამინდმა სპორტსმენები ისე დაბნია, რომ სტარტის წინაც კი არ იცოდნენ, რომელი საცხი გამოეყენებინათ. ამან შეჯიბრება გააძნელა. საპატრულო რბოლა (25 კმ-ზე რბენა თითო გასროლით) მოიგო „ტრუდის“ გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. სიზოეი (ვლადიმერი), ვ. ალეშინი (ჩეხოსლოვაკიის ოლქი), ა. უბაკოვი (ლიტვა), გ. ჩუბოტარიოვი (უდმურტეთი) და ა. შვეცოვი (ჰერმი) — 2:04.42. II ადგილზეა „სპარტაკი“, III — „ლოკომოტივი“.

● ●

ბულგარელები — სრული გუნდით

ბულგარელებს ნაკლები იმედი აქვთ სამთამოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებისა, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ სპორტსმენები შეჯიბრებებში უკეთ ოსტატდებიან, საერთაშორისო ტურნირებში მეტს სწავლობენ. ამიტომ ამ ქვეყნის ფედერაციას სრული გუნდის გამოყვანა აქვს განზრახული. ნაკრების შემადგენლობას აქ საბოლოოდ მსოფლიო პირველობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე დააფიქსირებენ. ამას წინათ მათ ბოროვეცში გამართეს VII ტრადიციული ტურნირი „რილას თასზე“, რომლის მიზანიც უძლიერესთა შერჩევა იყო.

ვაჟებში, როგორც სპეციალურ (350 მ, 52 და 47 კარი, სიმაღლეთა სხვაობა — 135 მ), ისე გიგანტურ სლალომში (1700 მ, 50 კარი, სხვაობა — 400 მ) ყველას აჯობა პ. შალამანოვმა, რომელმაც შესაბამისად 1.30,9 და 1.42,5 აჩვენა. ვაჟთა გუნდის ლიდერი პ. ანგელოვი ორივე დისტანციაზე II ადგილებს დასჯერდა.

ქალებისთვის ასეთი დისტანციები იყო: სპეციალური სლალომი—350 მ, ორივეჯერ 47 კარი, სხვაობა 130 მ; გიგანტური სლალომი — 1200 მ, 40 კარი, სხვაობა 300 მ. ორივე დისტანციაზე გაიმარჯვა დ. დიმიტროვამ — 1.37,3 და 1.24,5.

ისევ მაფია

მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის ნინო ბენვენუტომ, რომელიც ბოლო დროს წარმატებით თამაშობდა კოვბოურ ფილმებში, არც თუ დიდი ხნის წინ ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა ამერიკელ მოკრივე ლუის მანუელ როდრიგესთან.

უაღრესად დაძაბული ბრძოლის დროს ბენვენუტომ შეცდომები დაუშვა და რამდენიმე ძლიერი დარტყმაც იგემა, მაგრამ შემდეგ, მე-11 რაუნდში, თავით ფეხამდე გახისტლიახებულმა უძლიერესი დარტყმით ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. როდრიგესს მანამდე 83 შეხვედრიდან 79 ბრძოლა ჰქონდა მოგებული.

იტალიელის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ამას წინათ ამერიკის გაზეთები „დეილი ნიუსი“ და „ნიუიორკ ტაიმსი“ აღშფოთებული იუწყებოდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ბენვენუტი და მისი მენეჯერი ბრუნო ამადუცი დაკავშირებული არიან ორ საქმოსანთან „მედისონ სკვერ-გარდენიდან“ ჯემს ნაპოლისთან და ჯოზეფ კალაბროსთან. ამას წინათ ისინი ნიუიორკის ჟიურის წინაშე წარსდგნენ კორუფციის, მოკრივეთა მოსყიდვისა და შეჯიბრების შედეგების „ჩაწყობის“ გამო.

გამოძიებისას, როგორც ვიცე-პროკურორი ლ. გოლდმანი ასკვნის, ნაპოლისა და კალაბროს ბინძურ საქმოსნურ კავალს ამერიკის მაფიის ერთ-ერთ ლიდერთან ტომას ებილთან მივყავართ. ჯერჯერობით ბენვენუტი და ამადუცი მოწმეები არიან: მათ დაწვრილებით უნდა მოახსენონ ამერიკელ მსაჯულებს ამადუცისა და ნაპოლის ფარული შეხვედრების შესახებ ბენვენუტი — ტაიგერის ორთაბრძოლის წინ, რომელიც შარშან მაისში გაიმართა. იტალიელს ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ მან ხელის მოტეხილობა მოიმიზეზა და ბრძოლაზე უარი განაცხადა.

ნაპოლისა და კალაბროს საქმეში ჩარეულია მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ქვემძიმე წონაში, 29 წლის ფრანკი დეკაულოც. ამჟამად იგი თავდებშია გაშვებული 3500 დოლარად.

ნაპოლი და კალაბროც ჯერჯერობით თავისუფალი არიან, — თითოეულმა მათგანმა დროებით თავის გამოსახსნელად 15 ათასი დოლარი გადაიხადა.

ს ურ ა თ ზ ე: ნინო ბენვენუტი.

ჩოგბურთი - 70

საბჭოთა ჩოგბურთელების ახალი სეზონი საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ტრადიციის მიხედვით, ისინი გამოვლენ ყველა დიდ გუნდურ ტურნირში, რომელთა შორის ერთ-ერთი გასლავთ ვაჟთა გუნდების არაოფიციალური მსოფლიო პირველობა — დევისის თასის გათამაშება, სადაც გასულ სეზონში სსრ კავშირის ნაკრები ევროპული ზონის ფინალში გავიდა. ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები იბრძოლებს ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატის მთავარი პრიზისთვის — ჰალეას თასისთვის. გოგონათა გუნდი, რომელსაც ამჟამად ეკუთვნის ასეთივე პრიზი — სუაბოს თასი, ჩვენს კონტინენტზე უძლიერესის სახელის დაცვისთვის იბრძოლებს.

ევროპის პირველმა ოფიციალურმა ჩემპიონატმა წარმატება მოუტანა საბჭოთა ჩოგბურთის ოსტატებს, რომელთაც იქ წყვილთა სამივე თანრიგში გაიმარჯვეს. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე პირველობის შედეგები, რომელიც ამჯერად ბულგარეთში ტარდება.

როგორც მუდამ, საბჭოთა ჩოგბურთელები გამოვლენ სახელგანთქმულ უიმბლდონის ტურნირშიც, რომელიც ბალანის მოედნებზე არაოფიციალურ მსოფლიო პირველობად ითვლება. ისინი ითამაშებენ საფრანგეთისა და იტალიის ღია ჩემპიონატებში, მეორედ გამოვლენ ნიუ-იორკის ფორესტ-ჰილის კორტებზე აშშ-ს ღია პირველობაში.

ზაფხულისთვის დაგეგმილია მონაწილეობა ავდანეთის, ფინეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, გდრ-ის, პოლონეთის, გაზაფხულზე კი არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკისა და ალჟირის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

7 საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება საბჭოთა კავშირში — მოსკოვში, კიევში, რიგაში, სოჭში, ტალინსა და მინსკში. მათგან უფრო მნიშვნელოვანია მოსკოვის ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც 15-22 თებერვალს ჩატარდება ცსკა-ს დახურულ კორტებზე და 9-16 აგვისტოს — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ღია მოედნებზე.

საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარი იანვარში იწყება მოსკოვის, რსფსრ-ს, ესტონეთის, ლენინგრადის, უკრაინის ღია პირველობებით, შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელები კიევში იასპარეზებენ ზამთრის შეჯიბრებაში. სსრ კავშირის თასზე დასკვნითი შეხვედრები დუშანბეში ჩატარდება 17-20 სექტემბერს, 2 ოქტომბერს კი ალმა-ათაში სტარტს აიღებს ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატი.

დაგეგმილია იუნიორთა, ჭაბუკთა და გოგონათა ბევრი ტურნირიც.

(საკდესი).

ესეც თუ სპორტი!

ვიდრე ხელები გაუძლებენ... რეგენსბურგის (გფრ) ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონემ, 27 წლის ლ. ჰოფმაიერმა ხელებით გაიარა 132 კმ თავისი ქალაქიდან მიუნჰენამდე და 20 წყვილი ხელთათმანი გაცვითა. ეს მიღწევა შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ი. ჰუსლინგერის რეკორდს. ამ უკანასკნელმა, როგორც გვარწმუნებენ, 1900 წელს ხელებით 55 დღეს იარა და 1400 კილომეტრი დაფარა ვენიდან პარიზამდე.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **ᲙᲐᲡᲢᲘᲜᲒᲡᲘ**, 8 იანვარი. ინგლისის ამ საკურორტო ქალაქში დამთავრდა ყოველწლიური ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირი. I ადგილი დაიკავა უნგრელმა ლ. პორტიშმა, რომელმაც ბოლო, IX ტურში 32-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა ინგლისელ მ. კორდენს. 6,5 ქულა დააგროვა და გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული დიდოსტატი ვ. უნციკერი (გფრ). III ადგილი დისაკუთრა იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა — 6 ქულა. ამ ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა დიდოსტატმა ვ. სმისლოვმა, რომელმაც ბოლო ტურში ესპანელი მედინა დაამარცხა, 5,5 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილის მეოთხე სტრიქონზე აღმოჩნდა.

● **ᲑᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ**, 8 იანვარი. ევროპის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე ტურნირში, რომელიც კონტინენტის არაოფიციალურ პირველობად ითვლება, ლიდერობს უნგრელი ა. ადორიანი. VII ტურში მან მნიშვნელოვანი პარტია მოუგო საბჭოთა მოჭადრაკე ა. ბელიავსკის და ახლა 6 ქულა აქვს. ბელიავსკი 5,5 ქულით II ადგილზეა. III ადგილი უკავია იუგოსლავიელ ლ. ლიუბოშევიჩს — 5 ქულა.

● **ᲞᲝᲠᲢᲘ**, 8 იანვარი. ფინეთის ამ ქალაქში ზემძიმე წონის ძალოსანმა კ. ლახდენრანტამ ფინეთის ოთხი და ჩრდილოეთის ქვეყნების სამი (გარდა აჭიმვისა) რეკორდი დაამყარა: სამჭიდში 550, აჭიმვაში — 185, ატაცში — 162,5 და აკვრაში — 202,5 კგ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03111